

გურამ ყიფიანი

Guram Kipiani

THE CITY OF

RHODOPOLIS

ქალაქი როდოპოლისი

არტანუჯი

გურამ ყიფიანი

საქართველოს მუსიკალური აკადემია

საქართველოს მუსიკალური აკადემიის დირექტორი

ქალაქი როდოპოლისი



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი 2012

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
პალეოურბანული კვლევის ლაბორატორია

ნაშრომი ეძღვნება უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვლილი, შესანიშნავი ისტორიკოსის **სოსო მარგიშვილის** (1959-2007) ნათელ ხსოვნას.

რედაქტორი საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპოდენტი პროფესორი **გურამ ლორთქიფანიძე**.

თარგმანი **ლელა დუმბაძისა**
ტექსტი აიკრიფა **ანნა დულარიძისა** და **მადონა მშვილდაძის** მიერ.

ISBN 978-9941-421-91-4

© გურამ ყიფიანი, 2012.

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2012.

ქალაქ როდოპოლისს (Ῥοδόπις) ბიზანტიური საისტორიო მწერლობა ლაზეთის ღირშესანიშნავ ქალაქთა რიგში ასახელებს. გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის (VI-ს.) მიხედვით: „**ქველაზე შესანიშნავი ქალაქები კი მაინც არის აქ (ლაზეთში - გ. ყ.) როდოპოლისი და მოხირისი**“¹.

სამწუხაროდ ჩვენთვის უცნობია ქალაქ მოხირისის ადგილმდებარეობა და მასზე წარმოდგენის ჩამოყალიბება შეუძლებელია, მაგრამ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ როდოპოლისი ვარციხეა, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, იქ, სადაც დღეს მას ხანისწყალი უერთდება, წამომართული ადრეობიანი ხანის პატარა სიმაგრე (სურ. 1, 3).

ვარციხესთან როდოპოლისის გაიგივებას შემდეგი ახსნა მოეძებნება: თითქოსდა, ბიზანტიელებმა (ბერძნებმა), მექანიკურად, თავიანთ ენაზე თარგმნეს ციხის ადგილობრივი სახელწოდება „ვარდ-ციხე“ და მიიღეს „ Ῥοδόπις“². ამდენად, ისიც იგულისხმება, რომ მისი დღევანდელი სახელწოდება - „ვარციხე“, ამ ტოპონომიდან დროთა განმავლობაში „დ“-ონის გაქრობის შედეგადაა მიღებული.

ვარციხე არქეოლოგიურად კარგად შესწავლილი ძეგლია და მას მონოგრაფიაც მიეძღვნა. მონოგრაფიის ავტორისთვისაც „ვარციხე“ როდოპოლისია, ანუ ვარდის ქალაქი.³

იუსტინიანე კეისრის მიხედვით (VI ს., 535 წ.) კი: „**არქეოპოლისი და როდოპოლისი უდიდესი და ძველი სიმაგრეებია ლაზეთში**“⁴.

ეს ცნობა გარკვეულ ინტერესს აღძრავს. ცნობილია, თუ სად მდებარეობს არქეოპოლისი-ციხე-გოჯი, დღევანდელი ნოქალაქევი და მას ათეულობით წლების მანძილზე შეისწავლიდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია.⁵ აქ ეჭვს ბადებს იუსტინიანეს განსაზღვრება - „უდიდესი“, რაც მხოლოდ არქეოპოლისის მიმართ შეიძლება რომ ითქვას, რადგან მისი ფართობი 20 ჰა-ს უტოლდება⁶ (სურ. 2),

¹ პროკოპი კესარიელი. ბრძოლა პეტრას გარშემო. „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1965. გვ. 101.

² ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგიკა“. გვ. 34. (შენიშვნა 1) გვ. 105 (შენიშვნა 1).

³ ვ. ჯაფარიძე, ვარდციხის ნაქალაქარი. თბ., 1984, გვ. 3 და შმდ.

⁴ „გეორგიკა“ II. გვ. 35-36.

⁵ იხ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი. ტომი I. თბ. 1981. ტომი II. თბ. 1987 და ა. შ. პარმენ ზაქარაიას რედაქტორობით; პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე. ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ. 1991. გვ. 7 და შმდ. არქეოპოლისის არქეოლოგიური შესწავლა დღესაც გრძელდება (ხელმძღვანელი დ. ლომიჯაშვილი).

⁶ П. П. Закаряя. Архитектура античных городов Грузии. Архитектурное наследство 37. М. 1990. გვ. 22; მისივე, ნაქალაქარი ციხე-გოჯი-ნოქალაქევი. „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“. I სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ. 1999. გვ. 5 და შმდ.

ხოლო ვარციხის არქეოლოგიურად დადგენილი ტერიტორია კი მხოლოდ 2,3 ჰა-ა (სურ. 3). „უდიდესით“ განსაზღვრული ეს ორი პუნქტი, თანაბარი „უფლებებით“ როგორ უნდა მოხედრილიყო იუსტინიანეს „ნოველებში“?

ეკთეზისების მიხედვით, როდოპოლისში ფასისის მეტროპოლიაში შემავალი ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი არსებობდა სამ სხვა საეპისკოპოსოსთან ერთად და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფასისის მიტროპოლიტის პირველმოსაყდრე (πρωτόθρονος), სწორედ როდოპოლისის ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო.⁷ ბასილი სოფენელი ფასიდის (ფასისის) მეტროპოლიაში შემავალ საეპისკოპოსოებს შემდეგი რიგით გვაწვდის: „ Ἐπαρχία Λαζική, ὁ Φάσιδος, ὁ Ροδιοπέλεως, ὁ τῆς Ἀβισσηνῶν, ὁ Πετρῶν, ὁ τῆς Ζευανῶν“⁸.

ამ ჩამონათვალში სამეცნიერო საზოგადოება დარწმუნებული მხოლოდ როდოპოლისის ვარციხესთან გაიგივების მიმართაა. ნაწილობრივ გაზიარებულია „პეტრა“-ს (Πετρῶν) ციხისძირთან იდენტიფიკაცია.⁹ აბისენონის და ძიგანეონის (ზიღანეონი) მიმართ რაიმე მყარ ამოსავალს მათი ლოკალიზაციისათვის ჯერჯერობით ვერ ვფლობთ.

როდოპოლისის შესახებ პროკოპი კესარიელის ერთ ფრიად საყურადღებო ცნობას უნდა შევეხოთ და გრძელი ამონარიდიც მოვიყვანოთ მისი თხზულებიდან:

„დაბლობში ერთი ქალაქი იყო, სახელად როდოპოლისი, რომელიც ყველაზე უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხეთში შემოსულთ; ადგილმისადგომი იყო და იერიშის მიტანაც სულაც არ იყო ძნელი. ამიტომ ლაზებმა ის ამას წინათ მიწასთან გაასწორეს, რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოტევისა. სპარსელებმა რომ ეს გაიგეს, მაშინვე არქეოპოლისისაკენ გაემართნენ“¹⁰.

საყურადღებო ცნობებია: „...უწინარეს ხვდებოდა გზაზე იბერიიდან კოლხეთში შემოსულთ“ და ის ცნობაც აღსანიშნავია, რომ ქალაქი დაბლობში იყო გაშენებული. იბერიიდან კოლხეთში (ლახეთში) შემოდინდნენ მხოლოდ შორაპან-სკანდეს

⁷ ს. ვაუხნიშვილი, „გეორგიკა“ IV, ნაკვ. II. გვ. 187.

⁸ „გეორგიკა“ IV, ნაკვ. II. გვ. 123. 130; შემდგომ აბისენონის ეპისკოპოსის მაგივრად საისინთა ეპისკოპოსი იხსენიება: გვ. 140, 142, ან საიაენთა ეპისკოპოსი. გვ. 181. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საისი დღევანდელი ცაიში უნდა იყოს. იქვე, გვ. 188, 189.

⁹ მოსაზრებანი პეტრას ადგილმდებარეობის შესახებ იხ. „გეორგიკა“ II, გვ. 34-35; ს. ჯანაშია, ციხე-ქალაქ პეტრას აშენება, პეტრას ადგილმდებარეობა, შრომები I, თბ. 1949, გვ. 29-44; ნ. ინაიშვილი, პეტრას საეპისკოპოსო კათედრა, ბიზანტიოლოგია საქართველოში. 2. თბ. 2009. გვ. 275-288; პეტრას ციხისძირთან გაიგივების მიმართ ეჭვი გამოთქვა პრ. გ. გრიგოლიამ და მისი ლოკალიზაცია თურქეთის ტერიტორიაზე ქალაქ ხოფას სიახლოვეს მოახდინა, ზღვის კლდოვან სანაპიროსთან, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „პეტრას“ ანუ კლდეებს უწოდებენ. იხ. გ. გრიგოლია, ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1994. გვ. 11 და შმდ.

¹⁰ „გეორგიკა“ II. გვ. 186-187.

ვერტიკალის გადალახვის შემდგომ, ეს სასაზღვრო ხაზია (სურ. 18) და როგორც ს. ყაუხჩიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა, იმ დროისათვის ორივე სიმაგრე ლაზიკის კუთვნილებაა.¹¹ როგორც კი როდოპოლისი მოიშალა, სპარსელები მაშინვე არქეოპოლისისაკენ გაემართნენ, რადგან შუა გზაზე ყოველგვარი წინააღმდეგობა მოიხსნა.

აგათია სქოლასტიკოსი გვიამბობს იმას, თუ როგორ აიღო როდოპოლისი ბიზანტიელთა სარდლის, იუსტინეს მიერ, იქ გაგზავნილმა ორიათასმა ცხენოსანმა, ელმინზურის მეთაურობით. იმ დროს ქალაქი სპარსელებს ეპყრათ, მერმეროეს, ირანელთა სარდლის მიერ იქ დატოვებულ გარნიზონს. აგათიას თხრობაში ჩანს, რომ როდოპოლისის მოსახლეობა არც თუ მცირეა: **„მეციხოვნენი რაღაც შემთხვევით ქალაქის გარეთ დაეხეტებოდნენ საღვაც და მცხოვრებთა უმრავლესობაც გასულიყო ზოგი სად და ზოგი სად“.**¹²

ისეთი „ქალაქისათვის“, რომლის ფართობი მხოლოდ 2,3 ჰა-ს მოიცავს, მცხოვრებლების დაყოფა „უმრავლესობად“, რომელიც ქალაქგარეთ გასულიყო და ნაგულისხმევ უმცირესობად, რომელიც ქალაქში დარჩენილიყო, ცოტა შეუსაბამოა. აგათია სქოლასტიკოსის აზრით, ამ ფაქტმა და განსაკუთრებით კი იმან, რომ სპარსელებმა საგარნიზონო დისციპლინა დაარღვიეს და ქალაქგარეთ დაეხეტებოდნენ, გაუადვილა ელმინზურს მისი აღება. ამასთანავე, მან ველზე სპარსთა რაზმები გაჟლიტა, ხოლო ადგილობრივთ - **„ნება მისცა კვლავ საკუთარ სამშობლოში ეცხოვრათ“.**¹³ „სამშობლოში“, (Πατριδι) - ვფიქრობ, რომ არც ეს ტერმინი უნდა გაჩენილიყო ისტორიკოსის ტექსტში უკიდურესად მცირე (2,3 ჰა) ტერიტორიისათვის.

ამას გარდა, იუსტინე ელმინზურს 2000 ცხენოსანს აძლევს როდოპოლისის დასაპყრობად, იმ დროისათვის უზარმაზარ კავალერიას, რაც გამოსადეგი იქნებოდა მხოლოდ გაშლილი ველიდან ამოზიდული და შედარებით არადრმა ბუნებრივი ზღუდეებით შემოფარგლული ქალაქის ასაღებად. ანუ ისეთი სიმაგრის ასაღებად, რომელზეც შეტევა ყოველი მხრიდან იქნებოდა შესაძლებელი და არა ისეთ გეოგრაფიულ ჩიხში აგებული ციხისათვის, როგორიც ვარციხეა. სად უნდა გაშლილიყო ამ ჩიხში ეს უზარმაზარი მხედრობა?

განსაკუთრებული ყურადღება, ალბათ, მაინც შორაპან-სკანდეს (სურ. 9, შორაპანი; სურ. 10, სკანდე) სტრატეგიულ ვერტიკალს უნდა მივაპყროთ (სურ. 18),

¹¹ „გეორგია“ II. გვ. 35-36 (შენიშვნები)

¹² „გეორგია“ II. გვ. 158-159.

¹³ „გეორგია“ II. გვ. 158.

სწორედ მისი გადალახვის შემდგომ ეჭახება სპარსეთის არმია როდოპოლისს. გამოდის, რომ არსებობდა სიმაგრეთა მიერ შედგენილი სამკუთხედი, მაგრამ სანამ მას შეეცხებით, მანამდე რამდენიმე საკითხი უნდა განვიხილოთ.

ზემოთ ვახსენეთ „გეოგრაფიული ჩიხი“ ვარციხესთან მიმართებაში. ვარციხე აღმოსავლეთის მიმართულებას ოდნავადაც ვერ აკონტროლებს. ამ მხრიდან მას არავითარი ბუნებრივი თავდაცვითი ზღუდე არ გააჩნია და, რაც მთავარია, ციხიდან თვალთახედვა აღმოსავლეთისაკენ მინიმალურიც კი არაა. იგი მდინარეების – რიონისა და ხანისწყლის შერთულის სამკუთხედშია წამომართული (ეს დღევანდელი მდგომარეობით, მაგრამ ადრე, როგორც ჩანს, ყვირილა და ხანისწყალი უერთდებოდნენ ერთმანეთს და მოკლე მონაკვეთის გავლის შემდგომ რიონში ჩაედინებოდნენ. (შდრ. სურ. 4 და სურ. 5), და თუ მასზე შეტევა აღმოსავლეთიდან განხორციელდებოდა, მაშინ იგი მხოლოდ „წყალში გადავარდნილი ციხე“ იქნებოდა.

თუ იმ აზრს დავეუშვებთ, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში შეფარვითაა გადმოცემული ვარციხის მიმართ (რომელიც, ცხადია, როდოპოლისად მოიაზრება), რომ იგი შესაძლო ფონს აკონტროლებდა¹⁴ მდ. რიონზე, მაშინ გამოგვივა, რომ ციხე ირანს ემსახურებოდა და ფონსაც ირანი აკონტროლებდა (თუ კი ფონი არსებობდა რიონის ამ მონაკვეთში), და არა ბიზანტია-ლაზეთი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, არც მერმეროეს, ირანელთა ამ უნიჭიერეს სარდალსაც, არ დასჭირდებოდა ძალისხმევა მის ასაღებად.

ძნელი წარმოსადგენია ის, რომ ბიზანტიურ საისტორიო მწერლობას არ აღენიშნა როდოპოლისის მდინარეთა ხერთვისში მდებარეობა და თანაც დიდი მდინარეების გზაშესაყარზე. ამის შესახებ მინიშნებაც კი არ გვხვდება თხზულებებში, არადა, მტკიცება ნამდვილად არ სჭირდება იმას, რომ ძველი სამყაროს გეოგრაფოსებიც და ისტორიკოსებიც მდინარეებს განსაკუთრებული გულმოდგინებით აღნიშნავდნენ ქალაქთა სიახლოვეს.

ჩემთვის სავსებით ცხადია, რომ ვარციხის ციხე არ გახლავთ როდოპოლისი, მაგრამ ამასთანავე, მისი ფუნქცია, როგორც სიმაგრისა, გაურკვეველია. ისიც ცხადია, რომ მისი კედლები და მის შიდა ფართობში გამოვლენილ არტეფაქტთა უმრავლესობა VI ს-ს განეკუთვნება,¹⁵ დროს, როცა ბიზანტია-ირანის ხანგრძლივი ომი მიმდინარეობდა.

¹⁴ ვ. ჯაფარიძე, ვარციხის ნაქალაქარი. გვ. 141.

¹⁵ ვ. ჯაფარიძე, ვარციხის ნაქალაქარი. გვ. 18 და შმდ.

ვარციხის ადრებიზანტიური ხანის კედლები 8 მ-ის სიმაღლემდე შემოგვრჩა (სურ. 11-14). იგი ნაგებია შერეული წყობით (Opus mixtum)¹⁶, და ეს ფაქტი წინააღმდეგობაში მოდის ბიზანტიურ საისტორიო მწერლობასთან, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, პროკოპი კესარიელის მიხედვით: „ლაზებმა ის (როდოპოლისი - გ. ყ.) მიწასთან გაასწორეს, რადგან ეშინოდათ სპარსელთა შემოსევისა“.¹⁷

ფრიად რადიკალური ქმედებაა და თუ მართლაც ეს ასე იყო, მაშინ სწორედ სასიმაგრო კედლები უნდა გაესწორებინათ ლაზებს მიწასთან, რათა მასში სპარსელები არ გამაგრებულიყვნენ. არადა, როგორც აღვნიშნე, ვარციხის ადრებიზანტიური ხანის კედლები დიდ სიმაღლეზეა შემორჩენილი. ისიც ცხადია, ალბათ, რომ ასეთ შემთხვევაში კედლების გეგმაზომიერ რღვევასთან გვექნებოდა საქმე, რათა ამის შედეგად მიღებული მზამზარეული სამშენებლო მასალა სხვაგან ყოფილიყო გამოყენებული.

ტოპონიმი „ვარციხე“ როგორ უნდა ქცეულიყო „ვარდის-ციხე“ - „ვარდციხის“ გამარტივებულ ფორმად? „ვარდი“ არაერთ ქართულ ტოპონიმს უდევს საფუძვლად: ვარდისჭალა, ვარდისსოფელი, ვარდისუბანი¹⁸, ან ვარდიგორა¹⁹, მაგრამ ამათგან არ მიგვიღია: „ვარჭალა“, „ვარსოფელი“, „ვარუბანი“ და არც „ვარგორა“. „ვარდციხე“ თავისთავად ენობრივად უხერხული ფორმაა, თუ არა შეუძლებელიც. ამას გარდა, ჯავახეთში დადასტურებულია უზარმაზარი ნასოფლარი „ვარდისციხე“, რომელიც ნ. ბერძენიშვილმა 1933 წელს მოიხილა²⁰, და მას არავინ უწოდებდა „ვარდციხეს“ და არც „ვარციხეს“. ბატონიშვილ ვახუშტის მაინც უნდა ჰქონდეს დადასტურებული ფორმა - „ვარდციხე“, მაგრამ მასთანაც ხანისწყალ-რიონის ხერთვისში აღმართული ციხე „ვარციხეა“.²¹ მაშინ სად გვაქვს დაფიქსირებული „არქაული“, „ვარდ“ ფუძით ფორმირებული ტოპონიმი ამ ქალაქისა თუ ციხისა? გამოდის, რომ არსად. „ვარციხე“ უნდა იყოს რომელიმე დიდი სიმაგრის, ან წარჩინებულის რეზიდენციის დერივატული გამოხატულება. მაგ. „მე ვარ ციხე“, ან რაიმე ამის მსგავსი და ეს

¹⁶ კედლის ამდაგვარი წყობის შესახებ იხ. J. Durm, Die Baukunst de Etrusker. Die Baukunst der Römer, Stuttgardt. 1905. გვ. 288-220.

¹⁷ „გეორგიკა“ II. გვ. 186-187.

¹⁸ იხ. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ. 1986. „ვარდის-სოფელი“ გვ. 45: „ვარდისუბანი“ - გვ. 34, 48, 49, 52; „ვარდისჭალა“ - გვ. 51.

¹⁹ „ვარდიგორა“ - თერჯოლის რაიონის სოფელი. იხ. ჯ. კეკელია, თ. ცხაკაია, მ. ხაბაზიშვილი. საქართველოს ტერიტორია და დასახლებული პუნქტები (კარტომეტრიული ანალიზი). თბ. 2004. გვ. 56.

²⁰ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი I. ისტორიული გეოგრაფია. თბ. 1964. გვ. 165.

²¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973. გვ. 751.

ტოპონიმი რამდენადმე პროკლამაციურობის ელემენტებსაც შეიცავს. ცხადია, არა ისეთ მძლავრს, როგორცაა მაგ. „მოდი და მნახე“ - „მოიდინახე“-დ, „მოდინახე-მოდინახე-დ“ გაფორმებული. ან შესაძლოა იგი „სადგომს“ აღნიშნავდეს და შეესატყვისებოდეს. არ გამოირიცხება, მე მგონი, ისიც, რომ ეს ციხე ოდესღაც, რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ვარციხისაგან 4 კმ-ის დაშორებით დაფუძნებული ვიღაც პატრიკოსის (პუნქტს პატრიკეთი ეწოდება) საზაფხულო რეზიდენცია ყოფილიყო.²²

ვარციხის, თითქმის თავდაპირველ სიმაღლემდე შემორჩენილი კედლებით მოზღუდულ ტერიტორიას იმერეთის მეფე სოლომონ I-იც ვერ უძებნის სტრატეგიულ-ტაქტიკურ ფუნქციას. არადა იმდროინდელი იმერეთის სამეფოს უსაფრთხოებას მთლიანად ციხეების არსებობა-არარსებობა განაპირობებდა. დოქტორ გიულდენშტედტის მიხედვით მეფემ გადაწყვიტა – „აქ ააშენოს რეზიდენცია, რადგან ეს მიდამო კარგია სათევზაოდ, სანადიროდ და ხანს კარგი წყალი აქვს“.²³

„ვარციხე“ არც თურქებს აინტერესებთ და მას არც იმერეთის მეფე არღვევს. მან ხომ დაარღვია ქუთაისის, ბაღდათისა და სხვა ციხეები, რათა იქ კვლავ თურქები არ გამაგრებულიყვნენ მას მერე, რაც ისინი გენერალ ტოტლებენტან ერთად დაიპყრო.²⁴

როდოპოლისს სომხური „გეოგრაფია“ - „აშხარაცუიცი“-ც (VII ს) ასახელებს ფრიად საინტერესო კონტექსტით: „(კოლხიდაში - გ. ყ), არსებობს 5 ქალაქი: ზიგანეიონი, კოტა, როდოპოლისი, ათინა და რიზინი და სხვა მრავალრიცხოვანი ემპორიონები, სწორედ ზღვისპირა ქალაქური დასახლებები, რომელსაც მიეკუთვნება ტრაპიზონი“²⁵. სომხურ გეოგრაფიას ქალაქთა რანგში მხოლოდ დიდი ურბანული წარმონაქმნები აქვს დასახელებული. დანარჩენებს დიდსა (მაგ. ტრაპიზონს), თუ მცირეს, აუცილებელი სავაჭრო ურთიერთობებით განპირობებულად მიიჩნევს.

ჩვენი დროის მკვლევართაგან ერთადერთი სარგის კაკაბაძე გახლდათ, რომელიც ეჭვით უყურებდა როდოპოლისის ვარციხესთან გაიგივებას. როდოპოლისს

²² პატრიკეთის შესახებ იხ. ვ. ჯაფარიძე, ეგრისის მატერიალური კულტურა ახ. წ. I-VII სს. (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 1999. გვ. 39-41.

²³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ. 1962. გვ. 163.

²⁴ გ. გელაშვილი, წიგნში – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი. გვ. 080; დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბილისი. 1985. გვ. 58.

²⁵ Г. В. Цулая, Описание Колхиды и сведения об армянской „географий“ VII века. Ономастика Кавказа. Орджоникидзе. 1980. გვ. 77.

იგი დიშში მოიაზრებდა²⁶. შესაძლოა, მას ვარციხის გეოგრაფიის ტაქტიკურ შესაძლებლობაში ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ თვლიდა, რომ ფარნავაზის ცხოვრების ავტორი მას (როდოპოლისს), ვარდის სვანური შესატყვისით „დიშნა“-თი აღნიშნავდა,²⁷ ამ მოსაზრების გაზიარება ცოტა არ იყოს ჭირს, მრავალი მიზეზის გამო. სხვა თუ არაფერი, როდოპოლისის დაბლობში გაშენებული ქალაქია, ხოლო ფარნავაზისეული დიშნა კარგა ხანია რაც მდინარეების ხანისწყლისა და საკრაულას შერთულთან, მთაზე წამომართულ სიმაგრესთანაა ლოკალიზებული, სოფელ ზედა დიშის სიახლოვეს.²⁸

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ საგზაო რუკას, რომელიც Tabula Peutingeriana-ს („პეეტინგერის ტაბულა“) სახელით მოიხსენიება. მას კასტორიუსის რუკასაც უწოდებენ. მსგავსი ნაშრომები ახ.წ. II ს-დან ჩნდება რომში. ამ დროს მისი განსაკუთრებული ყურადღება აღმოსავლეთისაკენაა მიმართული. რუკა (სურ. 15) 1501 წელს აღმოჩნდა ერთ-ერთ საცავში და იგი მკვლევარ პეეტინგერს გადაეცა და მიუხედავად იმისა, რომ მას იგი არ შეუსწავლია, რუკას მაინც მისი სახელი დაერქვა. ამჟამად დადგენილია, რომ რუკა IV ს-ის მეორე ნახევრის რომელიც გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერაა შედგენილი.²⁹ მასზე როდოპოლისის ხსენებაც არაა, მაგრამ მის ერთ-ერთ მონაკვეთში აღნიშნულია სადგური „Ad fontem felicem“ (სურ. 16. ზედა მარცხენა კუთხე, სებასტოპოლისის ქვემოთ და მარჯვნივ), რაც ითარგმნება, როგორც სადგური „ბედნიერ წყაროსთან“ ან „კეთილ წყაროსთან“. ამის შემდეგ გზა პირდაპირ სებასტოპოლისისაკენ მიემართება. აი, ეს „Ad fontem felicem“ ჯერ ი. მანანდიანმა და შემდგომ ს. ერემიანმა ვარციხედ, დამკვიდრებული აზრის მიხედვით როდოპოლისად, მიიჩნიეს.³⁰

კასტორიუსის რუკის გვიანდელ კორექტორს რავენელ ანონიმს (VII ს) აღნიშნული აქვს კიდევ ერთი პუნქტი „Ernu“, რომელიც პეეტინგერის ტაბულაზე არ მოიძიება. ეს პუნქტი ე. ერემიანმა „საირმედ“ მიიჩნია და რადგან ზეკარის

²⁶ ს. კაკაბაძე. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. „საისტორიო მოამბე“. I. ტფილისი. 1924. გვ. 73.

²⁷ ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, სახელმწიფო გამომცემლობა. 1924. გვ. 130-131.

²⁸ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII. 1975. გვ. 468-470; ვ. ჯაფარიძე. დიმი-დიშნა, ძველის მეგობარი. №3(110). თბ. 2000. გვ. 3-6.

²⁹ დაწვრილებით იხ. ნ. ლომოური. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. შრომები. ტომი IV. ნაკვ. I. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი. თბ. 1958. გვ. 99 და შმდ; А. В. Постников. Развитие картографии и вопросы использования старых карт. М. 1985. გვ. 48-49; А. Б. Дитмар. От Птолемея до Колумба. М. 1989. გვ. 52 და შმდ.

³⁰ Я. А. Манандян. Главные пути Армении по Пеитенгеровой карте. Ереван; 1936. (სომხურ ენაზე). გვ. 134; ი. მანანდიანის მონოგრაფიას ვუთითებ. ნ. ლომოურის დასახ. ნაშრომისა და ს. ერემიანის მიხედვით. იხ. С. Т. Еремян. Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов по Tabula Peutingeriana. Вестник древней истории. М. 1939. 1(6). გვ. 93.

უღელტეხილით სამცხედან ერთ-ერთი სავაჭრო გზა ხანისწყლის ხეობით, მისი მარცხენა სანაპიროთი მიემართებოდა ლაზეთისაკენ, „Ernu“-საირმის შემდგომ სებასტოპოლისადმე სადგური ცხადია, უნდა არსებულებო. გამორიცხული ასეთი რეკონსტრუქცია ნამდვილად არაა, მაგრამ ხანისწყალს დაყოლილი ხალხი დიშნას ვერ ასცდებოდა და ხომ არ შეიძლება ის ყოფილიყო „Ad fontem felicem“. გარდა ამისა, ბიზანტიური საისტორიო მწერლობა როდოპოლისს „უდიდეს და ძველ“ ქალაქად მოიხსენიებს და კასტორიუსის რუკაზე იგი „Ad fontem felicem“, ქალაქის შესაბამისი სიმბოლოთი არ აღინიშნება.³¹ ამდენად „Ad fontem felicem“ თუ არაა ძველი სიმაგრე დიშნა (მაინც ძნელი დასაშვებია ასეთი ვარაუდი, რადგან ზუსტად არ ვიცით, თუ რა ტერიტორიას აკონტროლებდა დიშნა. მისი სამხედრო შესაძლებლობები წვდებოდა თუ არა ხანისწყლის მარცხენა სანაპიროს, იგი ხომ ხანისწყალ-საკრაულას ხერთვისის მარჯვენა სანაპიროზეა ლოკალიზებული), მაშინ ის სწორედ ვარციხის ციხეა და არა როდოპოლისი. იგი ზუსტად ხანისწყლის მარცხენა სანაპიროზეა აგებული სწორედ სავაჭრო გზის ერთ-ერთი მონაკვეთის ბოლოს.

გარკვეულ ინტერესს რუსული, 1892 წელს შედგენილი რუკაც აღძრავს³², სადაც მოცემულია ყვირილა-ხანისწყლის ორმდინარეთის დაცემული ვაკე, სახელწოდებით „ულეველა“ (სურ. 17), ანუ დაუსრულებელი³³, რაც გრძელი გზის სახელწოდებაც შეიძლება რომ იყოს³⁴ და დიდი მინდვრისაც³⁵.

ზემო იმერეთში მხოლოდ ერთი დაბლობი გვაქვს - ყვირალა-ხანისწყლის ორმდინარეთი. იგი ზღვის დონიდან 117 მ-ს არ აღემატება, და თუ გადაიღახებოდა შორაპან-სკანდეს ვერტიკალი, ძირითადად მისი სამხრეთი პუნქტი შორაპანი (იხ. სურათები: 6, 7, 8, 9), ძალაუნებურად სწორედ აქ აღმოჩნდებოდა მომხდური. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაბლობთან მიმართებაშიც კი ვარციხე უსუსურად

³¹ პევეტინგერის ტაბულა უხვად ფლობს სიმბოლოთა კომპლექსს. რომს, კონსტანტინეპოლსა და ანტიოქიას რუკის ავტორი რთული შედგენილობის ვინეტით ასახავს. რამდენიმე კოშკით ასახულია რომის იმპერიის ძირითადი ციხე-ქალაქები. ორი კოშკით ფლანკირებული კარიბჭით დედაქალაქები ქვეყნებისა თუ პროვინციებისა. ორკოშკიანი ემბლემით რუკაზე ქალაქებია ნაჩვენები, ხოლო სადგურები მხოლოდ გზათა ტეხილებით. იხ. ნ. დომოური. ძველი საქართველოს... გვ. 101; სწორედ ტეხილითაა ნაჩვენები სადგური „Ad fontem felicem“.

³² 5 Верстная карта Кавказа съ прилежащими частями Турции и Персии. М. 1892. 60 вер. (რუკა დაცულია საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კარტოგრაფიის დეპარტამენტში).

³³ ზ. სარჯველაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ. 1995. გვ. 204.

³⁴ ულეველა ეწოდება სამცხედან იმერეთში, ვანის (ძველი სურიუმის) ქვეყანაში მომავალი ერთ-ერთი გზის მონაკვეთსაც, მთა მეფისწყაროდან მთა საკონდახემდე. თ. ბერაძემ ეს სახელი შეცვლით ერთ-ერთ მთას მიაკუთვნა. იხ. თ. ბერაძე, ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან. კრებული ვანი. III. თბ. 1997. გვ. 302.

³⁵ ნ. შარაშენიძე. საჩინოური ქართული. თბ. 2008. გვ. 302.

გამოიყურება, რადგან მისი ფუძის დონე 37 მ-თ ნაკლებია ყვირაღა ხანისწყლის ორმდინარეთთან შედარებით. ვარციხის ფუძე ზღვის დონიდან 80 მ-ზე ძვეს.³⁶ (იხ. სურ. 36)

საერთო ისტორიულ ჭრილში ერთი საკითხი ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს და მას მოკლე ჩანართის სახით უნდა შევეხეთ. საკითხი ციხე-ქალაქ დიშნას უკავშირდება. ლეონტი მროველის თხზულების მიხედვით, ფორპოსტებს, შორაპანსა და დიშნას ფარნავაზი აგებს: „და ამავე ფარნავაზ ალაშენა ორნი ციხენი, შორაპანი და დიშნა“³⁷. ამ მეფის ლოგიკა სავსებით გასაგებია. მან ამ ქმედებით იბერიის საზღვრები წინ წასწია, ფორპოსტები მდინარეთა ხერთვისებში „შეჭედა“ და მათ თავისუფალი გზები დაუტოვა აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეებიდან, ე. ი. ის მისასვლელები დატოვა, რომლებსაც მხოლოდ ის აკონტროლებდა. ამ ძალისხმევით გაიზარდა იბერიის საზღვრები და შემდგომაც, შეუდარებლად გვიანაც, საზღვრის ამოსავალი პუნქტი იბერია-ლაზიკასა და ქართლ-იმერეთს შორისაც, შორაპან-სარაპანისია.

ეს ე. წ. „მცოცავი საზღვრის“ ტაქტიკაა და ფარნავაზი არ ეძებს „სოლისებურ“ გზებს კოლხეთში შესადწევად, დანარჩენი დიპლომატიას უნდა გადაეწყვიტა და გადაწყვიტა კიდევაც: „მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თვისი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თვისი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვთაგან მთამდე, რომლის შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ. და მან ქუჯი ალაშენა ციხე-გოჯი“³⁸. არადა, „ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა“ ისედაც ქუჯის მემკვიდრეობითი მფლობელობა იყო.

ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს „დიშნა“ არ ფიგურირებს, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან შემტევი მხარე ირანი, პირდაპირ გზებს ეძებს შიდა კოლხეთ-ლაზეთისაკენ და პოულობს მათ, ხოლო სამხრეთით მორჩენილი დიშნა მას არ აინტერესებს და იგი რომაელთა ყურადღების მიღმაც რჩება, რადგან ირანის არმია მას არ უტევს.

ის სამხედრო-პოლიტიკური პროგრამა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი ფარნავაზისათვის დიშნა იყო, აღარ შეესაბამება სრულიად სხვა ტაქტიკას: ქვეყნის

³⁶ ჯ. კეკელია, თ. ცხაკაია, მ. ხაბაზიშვილი. საქართველოს ტერიტორია. გვ. 57.

³⁷ ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი I. თბ. 1955. გვ. 24.

³⁸ ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 24.

სიღრმეებში ციხეებისა და ქალაქების ელვისებურ პერობას. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ირანელთა ამ ტაქტიკას ბიზანტია-ლაზეთმაც აულო ალლო და წინასწარ ურღვევს მათ ფეხისმოსაკიდებელ სიმაგრეებს და მათ შორისაა როდოპოლისიც.

ირანელები არაფერს არ არღვევენ, მათ სწორედ ბაზები ესაჭიროებათ, - გადამანაწილებელი პუნქტები შეტევებისათვის, კომუნიკაციებისათვის.

ს. კაკაბაძის ის ვარაუდი, რომ როდოპოლისი დიშნაა, ბიზანტია-ირანის ომის ლოგიკითაც მიუღებელია. დიშნა სამხრეთშია მოტოვებული, ყვირილა-ხანისწყლის ორმდინარეთის სამხედრო ტრასაზე მას არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია. როდოპოლისი როგორც კი დაიშალა, ბიზანტია-ლაზეთის საომარი ტაქტიკით, მერმეროე მაშინვე არქეოპოლისისაკენ გაემართა, რადგან სიმაგრე, რომელიც პირველი წინაღობის გადალახვის შემდგომ ხვდებოდა მას გზაზე, აღარ იყო. ლაზებმა სამშენებლო მასალები გაზიდეს და მისით ან ახალი სიმაგრე წარმოქმნეს, ანდა, ძველი გაამაგრეს. თუ სად, ამის პასუხი კვლევის ამ საფეხურზე არ არსებობს.

გეოლოგიურად ყვირილა-ხანისწყლის ორმდინარეთის უმეტესი ნაწილი ხასიათდება, როგორც მეოთხეული დანალექები, თიხოვანი შრეები³⁹, ეს ჭაობია და აქვე მინდა გავიხსენოთ ანტიკური ქალაქწარმოქმნის ძირითადი პრინციპი - ქალაქის ზღუდის საძირკველი უნდა დაეფუძნოს კლდოვან ქანს⁴⁰. ამით სრულებით არ მინდა ვამტკიცო, რომ ქალაქები მხოლოდ კლდოვან ქანებზე შენდებოდა, მაგრამ „ქვეყნის“ გარემოში უპირატესობა სწორედ კლდოვან მასივს ენიჭებოდა საქალაქო განაშენიანებისათვის, თუ ცხადია ის გარკვეულ არეალში არსებობდა⁴¹. ვარციხე წამომართულია იმ გეოლოგიურ შრეზე, რომელიც ხასიათდება, როგორც მეოთხეული დანალექები, ანუ ისეთსავეზე, როგორიცაა გეოლოგიურად ხანისწყალ-ყვირილის ორმდინარეთი (სურ. 19).

³⁹ Атлас грузинской ССР. Тб-М. 1964. карта 17-18.

⁴⁰ Филон Византийский. О фортификации. წიგნში: Архитектура античного Мира. М. 1940. გვ. 47; Витрувий, Десять книг об архитектуре, пер. Ф. А. Петровского. М. 1936. გვ. 32.

⁴¹ მაგალითისათვის ვანის ნაქალაქარდ წოდებული ტერიტორია და მისი მახლობელი ფართობი მინდა მოვიყვანო. მისი არქეოლოგიურად შესწავლილი კლდოვანი (Cr2, კირქვები, ქვიშაქვები, ვულკანური წარმონაქმნები) ქანობი განაშენიანებულია სამარხული და საკულტო ნაგებობებით (ტაძარი, კლდოვანი სამარხები, საკურთხეველები, ცერემონიალური ბაქნები). მათ გარს უვლიდა სასიმაგრო სისტემა ყველა თავისი ატრიბუტით. განაშენიანების საზღვრები აღარ ვრცელდება იმ მეზობელ ჩრდილოეთის ბორცვზე, რომელზეც ახლა ვანის არქეოლოგიური მუზეუმია წამომართული, რადგან მისი ქანი სულაც არაა კლდოვანი, იგი კონგლომერატებისაგანაა შედგენილი, ფხვიერი, შლადი მასივისაგან (N2\1-შუა. მიოცენი თიხები, კონგლომერატები – Атлас... карта 17-18). ეს ბორცვი ანტიკური სამყაროს ყურადღების მიღმა დარჩა.

მიხნეულია, რომ ქალაქის სახელწოდება „როდოპოლისი“ ქართული „ვარდ-ციხე“-ს ბერძნულ ენაზე თარგმნის შედეგია.⁴² ეს ზემოთაც აღინიშნა, მაგრამ „ვარდი“ ქართულში ხომ საშუალო სპარსული ფორმის ანასახია⁴³ და მაშინ ძნელი გასაგები ხდება, თუ რატომ იწოდება ბიზანტიელთა მიერ ქალაქი როგორც „ძველი“⁴⁴. თუ ოდესმე ეს ფორმა „ვარდის-ციხე“ აქ, ამ ქალაქის მიმართ არსებობდა კიდევაც, ის ბიზანტიელებისათვის „ძველი“ ვერ იქნებოდა. ეს საკითხი, როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილსაც აფიქრებდა.⁴⁵

ყვირილა-ხანისწყლის ორმდინარეთი ძირითადად ჭაობია. ერთადერთი მონაკვეთია აქედან ამოზიდული, რკალისებური მოყვანილობის კლდოვანი ქანი, რომელიც ხასიათდება როგორც „მაიკოპის წყება“ (pგ3+N1\1)⁴⁶, რომელზეც სოფელი როდონაული-როდინაული-როდიაულია განფენილი თავისი უბნებით (სურ. 19, 21, 22).

ამ სოფლით მესამე კუთხე ისახება და ტოლგვერდა სამკუთხედს ვლემბობთ, რომლის ორ დანარჩენ კუთხეს შორაპან-სარაპანისისა და სკანდეს სტრატეგიული პუნქტები ქმნის (სურ. 20). კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ როდოპოლისი ის ქალაქია, რომელიც სკანდე-შორაპანის ხაზის გადაკვეთის შემდგომ პირველი ეგებებოდა მომხდურს და ღაზების მიერ მისი დემონტაჟის შემდგომ, ირანელთა სარდალი პირდაპირ არქეოპოლისისაკენ მიემართება.

ამ გზაზე, დაბლობზე, ორმდინარეთში ანუ „ულეველაზე“, როგორ უნდა გაეწია წინააღმდეგობა მტრისათვის ვარციხის ციხეს, რომელიც ორივე მდინარის, ყვირილისა და ხანისწყლის გადაღმაა? (სურ. 20).

ფრიად საყურადღებო მგონია ის ფაქტი, რომ ყვირილა-ხანისწყლის ორმდინარეთის ცენტრში ამოზიდულ კლდოვან მრუდს დიდი სიზუსტით ემთხვევა მასზე დაფენილი სოფლის, როდინაულის განაშენიანება. მისი არც ერთი უბანი არ სცილდება კლდოვანი მასივის კონტურს (იხ. სურ. 19, 21, 22), რაც თავისთავად

⁴² ს. ყაუხჩიშვილი, „გეორგია“ II. გვ. 34. შენიშვნა 1 და სხვ.; მისივე: ბიზანტიური ეპოქის ციხე-სიმაგრეები ღაზეთში. გეორგია III. გვ. 309.

⁴³ მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან. თბ. 1966. გვ. 104, 163–165.

⁴⁴ გეორგია, ტომი II. გვ. 35-36

⁴⁵ „არქეოპოლისი“ არაერთ საკითხს სვამს, ჯერ თვით სახელის შესახებ, საფიქრებელია, რომ ეს ბერძნული სახელი მეგრული სახელის თარგმანია ისევე როგორც, მაგალითად, ვარდციხე, „როდოპოლისი“ (თუმცა არაა გამორიცხული, რომ ვარდციხე შედგებოდეს არა ვარდისა და ციხისაგან, არამედ ვარდ(თა) თუ ვარდ(თ) სატომო სახელისაგან: ვარდციხე – ვარციხე... და სახელის არასწორი ეტიმოლოგიის შედეგად თარგმნეს იგი როდოპოლისად. წინააღმდეგ შემთხვევაში „ვარდის“ სპარსულიდან მეგრულში შემოსვლის მეტისმეტად ადრე ხანა ჩანს...“ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის) მეორე გამოცემა. თბ. 1990. გვ. 511-512.

⁴⁶ Атлас... карта 17-18.

გვაფიქრებინებს იმას, რომ ეს სოფელი თავისი გეგმარების მხრივ ურბანული წარმონაქმნის მემკვიდრეა. ეს აზრი კიდევ უფრო ძლიერდება, თუ სოფლის ქუჩათა ქსელს დაგაკვირდებით (სურ. 27) და ზედმეტი არ იქნება, ალბათ, თუ შესადარებლად ორონტის ანტიოქიის დაგეგმარების სისტემას მოვიხმობთ⁴⁷ (სურ. 28). ორივე შემთხვევაში სახეზე გვაქვს ცენტრალური გრძივი ღერძი-ქუჩა, რომლიდანაც განიტოტება ქალაქის კვარტლები, ანუ წარმოიქმნება საქალაქო განაშენიანების „ბადე“.

თანამედროვე GPS-ის მონაცემებით სოფელი როდინაული ზღვის დონიდან 149 მ-ზე ძევს. მისი დასავლეთის უბანი, ცხენთარო, ამავე მონაცემებით 138 მ-ზეა განფენილი, ხოლო აღმოსავლეთის დომინანტური ნაწილი, სვეტმადალი 190 მ-ის სიმაღლეზე.⁴⁸

დასახლების მთლიანი ფართობი და, შესაბამისად, კლდოვანი მასივი დაახლოებით 30 ჰა-ს მოიცავს.

„როდინაული“, როგორც ტოპონიმი, ინტერესს თავისთავად აღძრავს: „რიბი“ - ვარდია ბერძნულად და ამასთანავე ქართულ ენაში ადრევე ჩანს შემოსული, თუ დამკვიდრებული არა. მას სულხან-საბაც განმარტავს: როდი - (ხე) ვარდი⁴⁸.

როდინაულის ცენტრში აღმართულ ტაძარს აჯამეთ-როდინაულის მაცხოვრის ეკლესია ეწოდება. იგი მე-19 საუკუნისაა და რაჭასა და იმერეთში მოღვაწე ბერძენი ოსტატების ნახელავია (სურ. 26, 29). 2001 წელს იგი საფუძვლიანად განუახლებიათ. კვლევით ინტერესს ის ნაკლებად შეიცავს, მაგრამ საყურადღებო მისი გარემოა - გაშლილი თხემი დიდი თვალსაწიერით (სურ. 24, 25, 30, 36). ეს ტერიტორია თავისი თვისებებით სავსებით შეესაბამება საეპისკოპოსო ცენტრს, ანუ იმ კათედრას, რომელიც ეკთეზისებში იხსენიება და რომელიც ფასისის მეტროპოლიაში შედიოდა.

ტაძრის ტერიტორია, რომელიც სასაფლაოდან ათვისებული 2,5 ჰა-ს მოიცავს და მას გალავანი არტყია. ახლა მისი განახლება მიმდინარეობს ძველი გალავნის ნაშთების გაქრობის ხარჯზე (სურ. 29). ძველი გალავნიდან რაც შემორჩა დღემდე, დიდ ყურადღებას იმსახურებს: ესაა კირქვის ნაგლეჯი ქვებით ნაგები კედელი, შემაკავშირებლად კირხსნარი დასტურდება. კედლის პერიმეტრი გარკვეული

⁴⁷ Т. Н. Козына. Некоторые вопросы градостроительства эллинизма. წიგნში: Вопросы всеобщей истории архитектуры. Сб. №1. М. 1961. გვ. 46. სურ 25 (В).

⁴⁸ შდრ ჯ. კეკელია, თ. ცხაკაია მ. საბაზიშვილი. საქართველოს ტერიტორია. სიმაღლეები ზღვის დონიდან: როდინაული 120 მ-ი; ცხენთარო და სვეტმადალი 130მ. შესაბამისად გვ. 114; გვ. 158; გვ 122.

⁴⁹ სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. ტ. IV(2). თბ. 1966. გვ. 14; სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაში არ ურთავს თავის განმარტებას ისეთ შენიშვნას, რომელიც მის ტექსტებს ახასიათებს: რომ ეს სხვათა ენაა; მაგ. „თუთი (ფრინ.) სხვათა ენაა, ქართულად ზორაყი ჰქვიან“ და სხვა მრავალი.

შუალედებით კონტროლსაც შეიცავდა, როგორც შიდა, ასევე გარე მხრიდან და ერთმანეთის მოპირდაპირედ (სურ. 31-33). ისინი საგანგებოდ დამუშავებული ქვათლილებითაა შედგენილი. თვით წყობის ხასიათი ძალიან ჰგავს ადრებიზანტიური სტილს⁴⁹, ხოლო კედლის გეგმარება (შუალედებით ურთიერთმოპირდაპირე კონტროლსები) გვიანანტიკური ხანის სასიმაგრო კედლების ანასახია⁵⁰.

ეს ზღუდე (კედელი) ნამდვილად არაა მე-19 საუკუნის ბერძენი ოსტატების ნახელავი და მას ვერც ზოგადად შუასაუკუნეებს მივაკუთვნებთ. იგი გაცილებით უფრო ადრეული დროის გამოხატულებაა, მაგრამ არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე მის დაკონკრეტებულ თარიღზე რაიმეს თქმა შეუძლებელია. ამასთანავე ეს ზღუდე არ გახლავთ სასიმაგრო კედელი, მისი სისქე მხოლოდ 52 სმ-ია (სურ. 33). იგი მხოლოდ მინიშნებაა „ტემენოსზე“, წმინდა ადგილზე და მისდამი კრძალვის გამოხატულებაა.

როდინაულსა და მის ამდღებულ, აღმოსავლეთის უბანს, სვეტმადალს (თავისთავად საინტერესო ტოპონიმია და იგი სავსებით შესაძლოა, რომ აკროპოლისის აღმნიშვნელი იყოს. გავიხსენოთ, რომ სოფლის ეს, აღმოსავლეთის უკიდურესი უბანი 21 მ-ით მაღლა ძევს სოფლის ძირითად დასახლებასთან შედარებით), აღმოსავლეთიდან მდ. ლუხუტა უვლის (სურ. 34), სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მდ. დრაკნალი. ეს უკანასკნელი ყოფს მას, როდინაულს, დასავლეთ უბან - ცხენთაროსაგან. თვით ცხენთაროს კი დასავლეთიდან მდ. რუშავა საზღვრავს.

ეს ხეობები, რა თქმა უნდა, ბუნებრივი წინააღობებია, მაგრამ არა იმ სიმძლავრის, რომ ქალაქს დიდხანს გაეძლო ირანელთა შემოტევებისათვის. ამიტომაც არღვევენ მას ლაზები, და ამ გზით ისინი ირანელებს უშლიან დასაყრდენს.

ის სამი პუნქტი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ტოლგვერდა სამკუთხედს ქმნის კუთხეებით: შორაპანი-სკანდე-როდინაული (სურ. 20). შორაპნიდან სკანდემდე პირდაპირი ხაზით 21 კმ-ია; სკანდედან როდინაულ-როდოპოლისამდე 20 კმ-ი, როდინაულიდან შორაპნამდე, ასევე 20 კმ-ი. იმ გზებით კი, რომლებითაც ახლა უკავშირდება ერთმანეთს ეს პუნქტები საშუალოდ 25,5 კმ-ია. დღევანდელი სასოფლო გზები ხომ უმეტეს შემთხვევაში ძველ გზებს ემთხვევა. 25,5 კმ კი ზუსტად 17

50 Iv. Venedikov. La datation des Remparts Romano-Byzantins de Nesse'bre. Nessebre. I. Sofia. 1969. გვ. 127. სურ. 118. D,E.
51 об. Г. Б. Федоров, Л. Л. Полевой. Археология Румынии. М. 1973. გვ. 156.

რომაული მილის⁵¹ ტოლი მონაკვეთია. ეს, უბრალოდ, შემთხვევითობადაც შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი სისტემის მხოლოდ ერთი სამკუთხედაა. მას განვითარება უნდა ჰქონოდა ლაზიკის იმ ქალაქთა სახით, რომლებიც წყაროებში იხსენიება. ასეთივე სამკუთხედს ქმნის როდოპოლის-როდინაული-სკანდეს ფუძე, წვერით ოსომირასაკენ (სურ. 35), რაც მრავალი ნიშნის გამო, სიმაგრე უქიმერიონი უნდა იყოს.⁵²

მანძილი როდოპოლის (როდინაული) ოსომირას (უქიმერიონის) შორის პირდაპირი ხაზით, ასევე 20 კმ-ია, გზებით 25,5 კმ. და იგივე განზომილებას შეიცავს სკანდე-ოსომირას (უქიმერიონი) შორის მანძილიც (სურ. 36).

დამერწმუნებით, ალბათ, რომ „დამთხვევები“ აქ ძალიან ბევრია, და, ალბათ, ისიც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ამ სამკუთხედების სახით საქმე ბიზანტიურ სამხედრო ტრიანგულაციის საფუძველთან გვაქვს და ვფიქრობ, რომ ეს სისტემა მომავალში ლაზეთის სხვა, არაერთი ქალაქის ლოკალიზაციაში დაგვეხმარება.

ამ სისტემიდან მთლიანად ამოვარდნილი ჩანს ძველი, ფარნავაზისეული შორაპან-დიმნას ჰორიზონტალური ხაზი, მაგრამ ამავე დროს ამ მიმართულების გაცნობიერება მრავალმხირვ ინტერესს აღძრავს: ხომ არ გრძელდებოდა ეს ენერგიული ხაზი (სურ. 35) დიმნადან დასავლეთით, თვით სურიუმის ქვეყნის ჩათვლით და ხომ არ ჩამოაცილა ფარნავაზმა ქუჯის მთელი მთიანი კოლხეთი.

ვარციხეს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონოდა „ქვეყანა“, მასზე დაქვემდებარებული „ქვე მიწა“.⁵³ ეს მისი გეოგრაფიული „ბედითაა“ განპირობებული, განსხვავებით როდინაულისაგან, რომელიც ჩვენ ეჭვგარეშედ და უაღტერნატივოდ როდოპოლისად მიგვაჩნია და რომლის თვალსაწიერი დიდ „ქვე-მიწა“-ს ფლობს (იხ. სურ. 24, 25, 30, 36).

ეკთეზისების X ბ ნოტიციის მიხედვით 901-907 წლების ფარგლებში, ლაზიკის ეპარქია თავისი საეპისკოპოსოებით: როდოპოლისი, ცაიში (საისი), პეტრა, ზიგანეონი (ზიგანევი) მცხეთის საკათალიკოსოსაკენ მიემართა. ამ დროიდან

⁵¹ რომაული მილი = 1,4815 კმ-ს \approx 1,5 კმ; 4 რომაული მილი კი ერთი ფარასანგის ტოლია. ფარასანგი = 5.926 კმ-ს \approx 6 კმ-ს

⁵³ უქიმერიონი – „ციხე ლაზიკაში“ – ქუთაისის მახლობლად კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი“. პროკოპი კესარიელი – გეორგია 2. გვ. 196. გვ. 203. შენიშვნა 2 – უქიმერიონის ლოკალიზაციის საკითხი (ს. ყაუხიშვილი). ოსომირასთან უქიმერიონის გაიგივების შესახებ იხ. Brosset, M. Additions et éclaircissements a l'histoire la Géorgie. Addition IV. St-Petersburg. 1851. გვ. 102. სქოლიო 3. ქვეთავი Oukhimérium; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ. 1990. გვ. 520; იხ. აგრეთვე, გ. ბურჯანძის მოხსენების ანგარიში, „ოსომირა-უქიმერიონი“ (მოხსენების ტექსტი ინახება ილიას სახ. უნივერსიტეტის პალეოურბანიკული კვლევების განყოფილებაში).

⁵⁴ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. გვ. 446.

ფასისის მეტროპოლია აღარ იმართებოდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიერ. ლაზიკის ეპარქიის სახელი ახლადდაარსებულ ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოს მიეკუთვნა და თავიდან იგი შვიდ საეპისკოპოსოს უყრიდა თავს. ფასისის მეტროპოლიის საეპისკოპოსოებიდან მასში არც ერთი არ შესულა.⁵⁴

საგულისხმო მგონია ის ფაქტიც, რომ არც როდინაული, და არც მისი უბნები გვიანშუასაუკუნეებში, იმერეთის არც ერთი ფეოდალის საკუთრებაში არაა⁵⁵. ეს სოფელი თითქოს ამოვარდნილია იმერეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიიდან. ისიც სავარაუდოა, რომ გვიანშუასაუკუნეებში იგი გაუკაცრიელებული ყოფილიყო. ის, რომ როდოპოლისის საეპისკოპოსო მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილება გახდა, თავისთავად მისადმი კრძალვას განაპირობებდა, მაგრამ შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი უმძიმესი კატაკლიზმების პერიოდში, მცხეთა მის მეურვეობას ნამდვილად ვერ შესძლებდა. დოქტორი გიულდენშტედტი იცნობს მდ. ლუხუტას, იმ მდინარეს, რომელიც როდინაულს უგლის აღმოსავლეთიდან, მაგრამ არაფერი იცის ამ სოფლის შესახებ.⁵⁶

სოფელ როდინაულში, ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების შემდგომ შევიტყვეთ⁵⁷, რომ სოფელი თითქმის თავიდან დასახლებულა მე-19 საუკუნეში. ამ ახალი მოსახლეობის დაკვეთა იყო, ალბათ, ძველი „ტემენოსი“-ს ადგილზე ახალი ეკლესიის აგება, რაც ბერძენ ოსტატებს მიანდევს. მოსახლეობამ ამ სოფლის ერთადერთ ძირძველ გვარად ვარდოსანიძეები დაგვისახელა. მათი თქმით, ისინი არასოდეს მოშორებიან აქაურობას. ეს გვარი ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩანს აქ. ამის დასტური სოფლის სასაფლაოდანაც მივიღეთ და სამამულო ომისადმი მიძღვნილი მემორიალიდანაც. ამ გვარის როდინაულიდან წარმომავლობა ჩემმა კოლეგამ პროფ. ვლადიმერ ვარდოსანიძემაც დამიდასტურა. ჩემი ეს ჩანართი, ცხადია, არაფერს მატებს როდოპოლისის ლოკალიზაციის პრობლემას, მაგრამ ამ მიმართულებით კვლევამ შეიძლება ზოგიერთ საკითხს ნათელი მოჰფინოს. გვარი „ვარდოსანი“ არ გახლავთ გვარსახელიდან წარმოშობილი, ის არც წინაპრის

55 ს. ყაუხჩიშვილი. გეორგია IV. ნაკვეთი II. გვ. 198-199.

56 იხ. ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბ. 1973. გვ. 213 – აგიაშვილთა სათავადოში შემავალი სოფლები. გვ. 156-154 – აბაშიძეთა სოფლები და ა. შ.

57 ჩვენ გავედით ხანის მარცხენა სანაპიროდან მარჯვენაზე და შემდეგ, ჩრდილო-აღმოსავლეთით ქედის გავლით, სოფლების დიშის და ობჩის მიწებზე ყვირილის შენაკად ლუხუტამდე, სადაც შევისვენეთ პურის საჭმელად“. გიულდენშტედტის მოგზაურობა... ტ. I. გვ. 165.

58 ეს იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანისტული ექსპედიციის მსვლელობისას (2011 წლის 9–19 მარტი). მასში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები: დ. კანდელაკი, ნ. კაპანაძე, ან. დულარიძე, ი. დემეტრაშვილი, გ. ბურჯანაძე, გ. ნებულიშვილი და გ. ყიფიანი.

თვისებას ასახავს, იგი არც პროფესიიდან, არც ტოპონიმიდან და არც მფლობელობიდან მომდინარე არაა. „ვარდოსანი“ თემის აღმნიშვნელია, რაღაც გარკვეული ნიშნით გაერთიანებულებისა, ანუ „ორდენისა“. იქნებ ეს გვარი შეიქმნა როგორც ძველ როდოპოლისელთა-ვარდისქალაქელთა-როდინაულელთა პატრიოტული გამოსატულების აღმნიშვნელი.

ქალაქი როდოპოლისი მდებარეობდა დღევანდელ სოფელ როდინაულის ადგილზე. ამ სოფლის ტერიტორია ნაქალაქარია. ამ დასკვნამდე მონაცემთა უერთიერთშეჯერებით მივედით. სოფელს შერჩა ძველი ქალაქის სახელი ქართული სახესხვაობით. ამასთანავე ისიც გვაქვს გაცნობიერებული, რომ ნებისმიერი თეორიული ხასიათის განსჯას პრაქტიკული დადასტურება სჭირდება, მაგრამ თუ ასეთი რამ უახლოეს მომავალში ძნელად განსახორციელებელია, მაშინ დროებით არსებული მონაცემებით უნდა დაგკმაყოფილდეთ.


სურათების აღწერილობა

1. ვარციხე, კოსმოსური ფოტო
2. არქეოპოლისი, გეგმა (პ. ზაქარიას მიხედვით)
3. ვარციხე, გეგმა (ვ. ჯაფარიძის და კ. მელითაურის მიხედვით)
4. ვახუშტი ბატონიშვილის რუკის ფრაგმენტი
5. პალასის რუკის ფრაგმენტი (დასესხებულია ვ. გელაშვილის გამოცემიდან: გიულდენშტენდის მოგზაურობა საქართველოში II)
6. შორაპის ციხე, გადაღებული მდ. ძირულას მარჯვენა სანაპიროდან.
7. მდინარეების ყვირილასა და ძირულას ხერთვისი და ციხე შორაპანი. კოსმოსური ფოტო.
8. შორაპნის ციხე, გეგმა (ვ. ჯაფარიძისა და კ. მელითაურის მიხედვით)
9. შორაპანი, ფოტო კოსმოსიდან
10. სკანდეს ციხე, ფოტო კოსმოსიდან
11. ვარციხე, კედელი
12. ვარციხე, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან
13. ვარციხე, ხედი სამხრეთიდან
